რეფლექსია

რესურსი-მეთუნეობა

რესურსი შექმნილია მე-9 კლასის მოსწავლეებისათვის

რესურსის ავტორი-სსიპ ილია ჭავჭავაძის სახ. საჩხერის #2 საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი ნათელა მაჭარაშვილი

რესურსის „მეთუნეობა"შექმნა განაპირობა იმ ფაქტორმა, რომ ამ დარგის ჩამოყალიბება-განვითარების შესახებ მე-9 კლასის სახელმძღვანელოში ძალიან მწირი ინფორმაციაა დაფიქსირებული.მართალია, გარკვეული ცოდნა მოსწავლეებს მიღებული აქვთ დაწყებით საფეხურზე, მაგრამ დავაფიქსირე, რომ მეთუნეობის შესახებ ინფორმაცია ნაკლებად შემოინახა მათმა მეხსიერებამ.ამიტომ თუნდაც შეხსენებისთვის, ან თუნდაც ახალი ინფორმაციის მიწოდებისთვის გადავწყვიტე კონკრეტული რესურსის შექმნა. თანაც, ეს არის დარგი, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა. შეიძლება ითქვას, რომ ერთადერთი დარგია, რომელმაც ასწლეულებს გაუძლო.თითქოს ერთგვარად ქართულ რეალობასთან ასოცირდება ქვევრი თუ თონე, დოქები თუ ქოთნები, კეცები თუ ფიალები. საუკუნეთა მანძილზე ადამიანთა ცხოვრებაში ერთმანეთს ენაცვლებოდა ქვა, სპილენძი, ბრინჯაო თუ რკინა, თუმცა თიხა ნებისმიერი ამ ხანის თანმდევი იყო. ის, რაც აქტუალობას არ კარგავს, ყველა თაობისათვის საინტერესოა. სწორედ ამ ფაქტებმა განაპირობა ჩემ მიერ ამ რესურსის შექმნა.

მიზანი-მოსწავლეები შეეცდებიან გააკეთონ დასკვნები თიხის, როგორც ქანის უნიკალურობის შესახებ, მისი გავრცელების არეალისა და მრავალმხრივი გამოყენების შესახებ სხვადასხვა ეპოქაში .

ესგ-IX.2. მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს სხვადასხვა ისტორიული ეპოქის საქართველოში ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება.

სამიზნე ჯგუფის თავისებურებები გათვალისწინებულია, რადგან ამ რესურსით მიწოდებული ინფორმაცია მოსწავლეებისათვის ნამდვილად საინტერესოდ აღიქმება, როგორც ძირითადად, ვიზუალურად წარმოდგენილი მასალა.

რესურსის გამოყენების ინსტრუქცია:

-დაფაზე ვაფიქსირებ ფლიპჩარტს, რომელზედაც განთავსებულია „ცოდნის პირამიდა";

-მოსწავლეებს ვთხოვე, რომ ვიდეოს(რესურსი ამ სახითაა წარმოდგენილი) ნახვის პარალელურად ჩაენიშნათ მეთუნეობის შესახებ თუნდაც ნაცნობი, ან თუნდაც უცნობი ინფორმაცია, ბოლოს კი ეს ინფორმაციები დაფაზე დაფიქსირებულ „ცოდნის პირამიდაში" გადაეტანათ;

-შემდეგ მოსწავლეები იყოფიან სამ ჯგუფად და ეძლევათ დავალება, რომ საინტერნეტო სივრცეში(მობილურებით ან კომპიუტერით) მოიძიონ შემდეგი სახის ინფორმაცია: I ჯგუფი-თიხის, როგორც ქანის, შემადგენლობის შესახებ; II ჯგუფი-თიხა და მედიცინა; III ჯგუფი-თიხის გავრცელების არეალი საქართველოში. ყველა ჯგუფმა მოძიებული ინფორმაცია უნდა განათავსონ იმავე „ცოდნის პირამიდაში"(მე მზად მაქვს სასურველი ლინკები იმ შემთხვევისათვის, თუ მოსწავლეები საათანადო ინფორმაციის მოძიებას ვერ მოხდენენ);

-ბოლოს კი გააკეთებენ დასკვნას იმის თაობაზე, თუ რატომ არ კარგავს თიხა და ,ზოგადად, მეთუნეობა აქტუალობას.

ჩემ მიერ შექმნილი რესურსითა და მოსწავლეთა მიერ მოძიებული ინფორმაციის შეერთებით ფაქტობრივად მოხდა საკითხის გამთლიანება.

ჩემ მიერ შექმნილი რესურსი ან თუნდაც ჩემს რესურსს პლუს მოსწავლეთა მიერ მოძიებული ინფორმაცია შეიძლება გამოიყენონ პედაგოგებმა ნებისმიერ საფეხურზე, განსაკუთრებით ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებლებმა, ხელოვნებისა და ქიმიის მასწავლებლებმა. ამ რესურსის მოდიფიცირებაც შესაძლებელია სხვადასხვა საგნების თემატიკის შესაბამისად, მაგ. ქიმიის მასწავლებელმა შეიძლება პოლიმერულ თიხაზე შექმნას მსგავსი რესურსი,ხელოვნების მასწავლებელმა პრაქტიკული მეცადინეობა შეიძლება ჩაატაროს და ა.შ. რა თქმა უნდა, რესურსის მორგება უნდა მოხდეს თემასთან, გათვალისწინებული უნდა იყოს შესაბამისობა სტანდარტთან, რათა შედეგიანად მოხდეს ამ რესურსის საგაკვეთილო პროცესში გამოყენება სხვა მასწავლებლების მიერ.

მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი საგაკვეთილო პროცესში.პირველ ეტაპზე ისინი ინდივიდუალურად მუშაობდნენ , რა დროსაც მათი დამოუკიდებელი მუშაობა ფასდებოდა, შემდეგ კი ჯგუფურად, სადაც თითოეულის პასუხისმგებლობა აღირიცხებოდა ჩემ მიერ.

ამ გაკვეთილზე მოსწავლეებში მოხდა შემდეგი უნარების განვითარება:

-რესურსიდან ძირითადი ინფორმაციის ამოცნობის;

-საკითხის/დავალების შესაბამისი ინფორმაციის მოძიების;

-ვარაუდების გამოთქმის;

-მასალის სისტემატიზაციის;

-სათანადო დასკვნების გაკეთების;

ამ რესურსის გამოყენების დროს პრობლემა არ დაფიქსირებულა.

ამ რესურსის გამოყენებამ მაჩვენა, რომ თუნდაც ელემენტარული სიახლის შეტანა გაკვეთილზე, რესურსის მიზნობრივად გამოყენება მოსწავლეთა გააქტიურებას/ჩართულობას ნამდვილად ხელს უწყობს და ,შესაბამისად, სასურველი შედეგის მიღწევას. სწორედ ამიტომ უნდა

განხორციელდეს მოსწავლეებისათვის მასალის მიწოდება სხვადასხვა სახით(რა თქმა უნდა, მიზნობრივად და საინტერესოდ).

რესურსის ნახვა შეგიძლიათ შემდეგ ლინკზე:

https://www.blogger.com/video.g?token=AD6v5dyFmUt03rCeY57dxfFjWFarGWv8B64t26j9mbXm-dIRJexaPy1mnPhNPm2YeTUlTnd8LWicEpyXsLyPqE9QCdIaq0SyavQBFOLQFuLr1MLoFCeXQ8L076-yfpanRMiXGtaa2VXD

  რესურსში გამოყენებული სურათების ლინკები:

http://museum.ge/files/images/education/2018/Programa_saocari_tixa.jpg

http://gallery.sapikhvno.org/data/media/17/15102005015.jpg